ქრისტესშობიდან 2018 წლის 4 მარტს, ზემო სვანეთში, მესტიაში შეკრებილი ლალხორის განაცხადი!

ლალხორ · SATURDAY, MARCH 17, 2018

საქართველოს პრეზიდენტს

ბატონ გიორგი მარგველაშვილს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი კობახიძეს

საქართველოს სახალხო დამცველს

ქალბატონ ნინო ლომჯარიას

საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ მისიებს

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს:

მსოფლიო ბანკს

ევროპის საინვესტიციო ბანკს,

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს,

აზიის განვითარების ბანკს,

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას

სვანეთის თემთა შეკრების

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

ქრისტესშობიდან 2018 წლის 4 მარტს, ზემო სვანეთში, მესტიაში შეკრებილი ლალხორის წარმომადგენლები ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებთ:

1. ჩვენთვის წმიდათაწმინდა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სვანეთის ულამაზესი და უნიკალური მიწა-წყალი და ბუნება, სვანეთის გამორჩეულად მშვენიერი და ბრწყინვალე ბუნების დაცვა და პატრონობა წარმოადგენს ჩვენს ერთ-ერთ უმაღლეს მოვალეობას და აქედან გამომდინარე საშვილთაშვილოდ ვკრძალავთ სვანეთში უკლებლივ ყველა ისეთ ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომელიც ხელყოფს, აზიანებს, ასახიჩრებს, ანგრევს და აპარტახებს სვანეთის უნიკალურ ბუნებას!

2. კატეგორიულად და საბოლოოდ ვკრძალავთ მთელს სვანეთში ჰესების მშენებლობას, ოქროს წარმოებასა და ყველა ბუნებისთვის, ადამიანის საცხოვრისის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისათვის მავნებელ, საზიანო და დამანგრეველ სამუშაოების ჩატარებას! ამიერიდან სვანეთში ჰესები აღარ აშენდება, მათ შორის: ხუდონ ჰესი, ნენსკრა ჰესი, მესტიაჭალა ჰესი და ზემო სვანეთში დაგეგმილი სხვა 50-ზე მეტ ჰესს!

3. ამასთან ვადასტურებთ უტყუარ ისტორიულ ჭეშმარიტებას სვანების უძირძველეს ქართულ მოდგმად და ქართველი ერის ერთ-ერთ ფუძეტომად არსებობის შესახებ. სვანეთი და სვანები სულ ცოტა 55 საუკუნე ღირსეულად და ერთგულად მოჰყვება საქართველოს და ქართველი ერის მრავალათასწლოვან ისტორიას, რომ მთელი თავისი უხანგძლივესი ისტორიული ყოფიერების განმავლობაში სვანები და სვანეთი ყოველთვის იყო, არის და სამომავლოდაც იქნება ქართველი ერისა და საქართველოს სისხლხორცეული, შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი. გამომდინარე აქედან გამიზნულად ვუჭერთ მხარს სვანეთის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებასა და აღორძინებას კონკრეტული დარგების დაწინაურების მიმართულებით. ვაცხადებთ, რომ სვანები წარმოვადგენთ ძირძველ მკვიდრ, აბორიგენ, ავტოქტონურ მოსახლეობას, სვანეთში სვანეთზე ყოველმხრივი უპირატესობისა და პრიორიტეტულობის ლეგიტიმური უფლებამოსილებებით!

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ სახელმწიფოსგან, გაეროსგან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სვანების მკვიდრ მოსახლეობად აღიარებას. შესაბამისად, მოხდეს ჩვენი ტრადიციული და სათემო საკუთრების დაკანონება. ასევე როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო კანონმდებლობით ჩვენთან შეთანხმების გარეშე არ უნდა განხორციელდეს არცერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება.

ჩვენი მოთხოვნების შესრულებამდე ნებისმიერი სამშენებლო სამუშაოების განახლება/გაგრძელება აღიქმება შეგნებულ პროვოკაციად, რაზეც პასუხისმგებლობა დაეკისრება ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას.

მოვითხოვთ სასწრაფოდ დააფიქსიროთ თქვენი ოფიციალური პოზიცია და შეგვატყობინოთ წერილობითი ფორმით.

დიდება უფალს და ფარავდეს ღმერთი სვანეთსა და სრულიად საქართველოს!

To: President of Georgia, Mr. Giorgi Margvelashvili

Premier Minister, Mr. Giorgi Kvirikashvili

Chairman of the Parliament, Mr. Irakli Kobakhidze

Georgian Public Ombudsman, Ms. Nino Lomdjaria

Diplomatic missions accredited to Georgia

International Financial Institutions: The World Bank, The European Investment Bank, The European Bank for Reconstruction and Development, The Asian Development Bank, International Financial Corporation

D E C L A R A T I O N

of the general meeting of all Svan communities (Lalkhor)

On March 4, 2018 in Mestia, Upper Svaneti, WE the representatives of Lalkhor of Svaneti declare following:

1. Magnificent land, water and nature of Svaneti are sacred and vital to us. We are the custodians of the unique nature of Svaneti; Protection of the nature is one of our supreme duties. Therefore, we are forbidding forever and for all future generations construction of any infrastructure project that encroaches, damages, cripples, destroys and ruins unique nature of Svaneti!

2. We unconditionally and eventually forbid construction of hydro power plants, gold mining and any other activities that harms nature, livelihood, material and non-material cultural heritage in the entire Svaneti! From now on hydro power plants in Svaneti will not be constructed including: Khudoni HPP, Nenskra HPP, Mestiachala HPP and other more than 50 HPPs planned in Svaneti!

3. Herewith, we confirm authentic and historic truth about Svans as being ancient Georgian ancestry and one of the main indigenous tribes of the Georgian nation. Svaneti and the Svans are following devotedly and honorably history of Georgia for more than 55 centuries. Svaneti and the Svans were, are and always will be indivisible and constituent part of Georgia and the nation of Georgia. Therefore, we deliberately support social, economic and cultural development of Svaneti, and promotion of specific areas of economy. We declare that we, the Svans, represent ancient, indigenous, aboriginal, autochthonic people with priority advantage and all around legitimate entitlements and authority over the territory of Svaneti!

Considering above mentioned, we require from the Government of Georgia, the United Nations and the international organizations to recognize the Svans as indigenous people. Correspondingly, we require recognition of our customary and community tenure rights legally. Furthermore, as it is defined under international law, we demand that none of the infrastructure projects are approved without our prior consent.

We, the Svans, consider any restoration and/or continuation of any construction works in Svaneti, before meeting our requirements, as the deliberate provocation, and thus local and central authorities should bare all the responsibility over further developments.

We require officially responding on this declaration and informing us in written form.

Glory to God and God bless Svaneti and Georgia!